

THE MATINS OF GOOD FRIDAY IN THE GREAT IADGARES AND EARLY
MANUSCRIPTS OF THE LENT BOOKS

ვნების პარასკევის ცისკარი დიდ იადგარებსა და მარხვანთა ადრეულ ნუსხებში¹

NUN NINO SAMKHARADZE

Doctoral Student at V. Sarajishvili Tbilisi State Conservatory

Georgia, Tbilisi, 8-10 Al. Griboedov str.

(+995) 599031135

nino.samkharadze@tsc.edu.ge

<https://orcid.org/0009-0008-4595-5974>

Abstract. The hymnographic material preserved in the Great Iadgares plays a crucial role in tracing the historical development of the Matins service for Good Friday. These texts represent a transitional phase in the evolution of the ordo, forming a bridge between the early, processional structure of the service and its later, systematized form. Based on evidence from the Jerusalem Lectionary (6th–7th centuries) and the earliest Iadgar manuscripts (8th–9th centuries), the Good Friday service followed an outdoor liturgical procession, moving between sacred sites associated with Christ's Passion. During these processions, seven micro-cycles of hymns (troparia) were performed alongside Gospel readings and psalm verses.

In contrast, later expanded Iadgares no longer preserve the Gospel reading tradition, and the seven-part hymn cycles are replaced by a complete nine-ode canon accompanied by Triodes and Praise cycles (Akebdeti). This study examines key manuscripts from the 10th–11th centuries, including Sin. 1, Sin. 14, Sin. 64, Sin. 34, as well as the Yale and Tzvirimi Iadgares—and early redactions of the Lent books (Sin. 5, Par. 5). These manuscripts are especially noteworthy for containing hymns by the only known Georgian author of Good Friday hymnography: the 10th-century hymnographer Ioane Minchkhi. Despite being cited in scholarly literature, Minchkhi's hymns dedicated to Good Friday have not been the focus of detailed academic study. This paper presents new research on these texts, offering fresh insight into their structure, context, and liturgical significance.

Key words: Good Friday; Matin service; Canon; Heirmos.

¹ კვლევა განხორციელდა 2022 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის კონკურსში გამარჯვებული პროექტის (FR-22-7504) „ვნების კვირის საგალობლები ქართულ საეკლესიო ტრადიციაში“ ფარგლებში.

მონაზონი ნინო სამხარაძე

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტი

საქართველო, ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის #8-10

(+995) 599031135

nino.samkharadze@tsc.edu.ge<https://orcid.org/0009-0008-4595-5974>

აბსტრაქტი. ვნების პარასკევის ცისკრის მსახურების ჩამოყალიბების ისტორიულ გზაზე დიდ იადგარებში შესულ ჰიმნოგრაფიულ მასალას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მათში განგების ფორმირების ერთგვარი გარდამავალი ეტაპია ასახული, რომელიც ე. წ. ხიდს ქმნის მსახურების პირვანდელ სახესა და უკანასკნელ, ჩამოყალიბებულ სტრუქტურებს შორის. იერუსალიმური ლექციონარის (VI-VII) და უძველესი იადგარის (VIII-IX სს.) მიხედვით, ვნების პარასკევის მსახურებას ლოცვითი ლიტანიის სახე აქვს და ღია ცის ქვეშ, ქრისტეს ვნებებთან დაკავშირებული ერთი წმიდა ადგილიდან მეორეში გადასულ პროცესიას გულისხმობს. ლოცვითი მსვლელობის დროს იგალობება დასდებელთა 7 მიკრო-ციკლი, სახარებისეულ მონაკვეთებთან და ფსალმუნის მუხლებთან ერთად. ვრცელ იადგარებში კი, სახარების კითხვის ტრადიციას, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია განგების საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სტრუქტურაში, ვეღარ ვხვდებით. გარდა ამისა, საგალობელთა 7 მიკრო-ციკლის ნაცვლად სრულდება 9 ოდიანი სრული კანონი, „სამსაგალობლისა“ და „აქებდითის“ დასდებულების ციკლთან ერთად.

წინამდებარე ნაშრომში კვლევა წარმოებულია X-XI სს. დიდ იადგარებსა (Sin. 1, Sin. 14, Sin. 64, Sin. 34, იელისა და წვირმის იადგარები) და მარხვანის ადრეულ რედაქციებზე (Sin. 5, Par. 5). ეს ნუსხები იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი შეიცავს ვნების პარასკევის ჰიმნთა ერთადერთი ქართველი ავტორის, X ს-ის ცნობილი ჰიმნოგრაფის, იოანე მინჩხის საგალობლებს. ამ ფაქტის სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშვნის მიუხედავად, ვნების პარასკევისადმი მიძღვნილი მინჩხური ჰიმნები ფართო კვლევის საგანი აქამდე არ გამხდარა. ამდენად, განხორციელებული კვლევითი სამუშაო აქტუალური და სიახლის შემცველია.

საკვანძო სიტყვები: ვნების პარასკევი; ცისკრის მსახურება; კანონი; ძლისპირი.

შესავალი. ვნების პარასკევის ცისკრის მსახურების ჩამოყალიბების ისტორიულ გზაზე დიდ იადგარებში შესულ ჰიმნოგრაფიულ მასალას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მათში ასახულია განგების ფორმირების ერთგვარი გარდამავალი ეტაპი, რომელიც ხიდს ქმნის მსახურების პირვანდელ სახესა და საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სტრუქტურას შორის.

ვნების პარასკევის განგების საწყისი საფეხური ჩანს ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ ლიტურგიკულ წყაროებში, როგორიცაა იერუსალიმური ლექციონარი (VI-VII სს.) და „უძველესი იადგარი“ (VIII-IX სს.). მათში ძირითადად ის სურათია აღწერილი, რასაც „ეგერიას მოგზაურობასა“ (IV ს.) და სომხურ ლექციონარში (V-VI სს.) ვხვდავთ. დასახელებული ძეგლების მიხედვით, ვნების პარასკევის ცისკრის მსახურებას ღამისთევის ლიტანიის სახე აქვს და ღია ცის ქვეშ, ქრისტეს ვნებებთან დაკავშირებული ერთი ადგილიდან მეორეში გადასულ ლოცვით პროცესიას გულისხმობს. ამა თუ იმ ადგილთან დაკავშირებული მოვლენების გახსენება სახარებიდან შესაბამისი ეპიზოდების კითხვით გამოიხატება, რაც მსვლელობის არსებითი ელემენტია. სახარებისეული საკითხავები

წმიდა ადგილებში „გაჩერებებზე“ იკითხება, ხოლო გზაში ჰიმნები და ფსალმუნის მუხლები იგალობება. დროთა განმავლობაში მატულობს და ნაწილობრივ იცვლება წმიდა ადგილები, შესაბამისად მატულობს სახარებისეულ საკითხავთა რიცხვი და მასთან კომპოზიციურად დაკავშირებული ფსალმუნები და გალობები. „იერუსალიმური ლექციონარი“ წმიდა ადგილებში 5 „გაჩერებას“ მიუთითებს, უძველეს იადგარში კი, მათი რიცხვი 7-ს შეადგენს, რაც ამავე რაოდენობის სახარებისეული ეპიზოდების კითხვასა და საგალობელთა 7 მიკრო-ციკლის გალობას გულისხმობს.

ლოცვითი ლიტანიის ტრადიციას უკვე ვეღარ ვხვდებით ახალი ტიპის, ვრცელ იადგარებში, რომლებშიც ვნების პარასკევის მსახურების ჩამოყალიბების მეორე, გარდამავალი ეტაპი ყალიბდება. იადგარებში არც საღვთისმსახურო მსვლელობა ჩანს და არც სახარების კითხვის ტრადიცია, რომელიც განგების საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სტრუქტურაში ერთი-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. გარდა ამისა, საგალობელთა 7 მიკრო-ციკლის ნაცვლად ღვთისმსახურების შემადგენლობაში შემოდის 9 ოდიანი საცისკრო კანონი, ძლისპირ-დასდებლის ურთიერთმიმართების წესის დაცვით. მიუხედავად იმისა, რომ ეს „გალობანი“ ვნების პარასკევის საბოლოოდ ჩამოყალიბებულ განგებაში 15 ანტიფონმა (ქართულ ტრადიციაში „შეხვეტილიანის“ სახელით ცნობილი მუსიკალური ციკლი) ჩაანაცვლა, იგი მაინც უადრესად მნიშვნელოვანია, რადგან შეიცავს ქართველი ავტორის, X ს-ის ცნობილი ჰიმნოგრაფის, იოანე მინჩხის ვნების პარასკევისადმი მიძღვნილ ორიგინალ საგალობლებს. ამ ფაქტის სამეცნიერო ლიტერატურაში (ხაჩიძე, 2000) აღნიშვნის მიუხედავად, ვნების პარასკევისადმი მიძღვნილი მინჩხური ჰიმნები კონკრეტული კვლევის საგანი აქამდე არ გამხდარა, ამიტომ წინამდებარე მოხსენების ფარგლებში მიღებული დასკვნები სიახლის შემცველია.

მეთოდი: წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი, მუსიკოლოგიურ-ჰიმნოლოგიური, შედარებითი ანალიზის და სინთეზის მეთოდს.

შედეგი: კვლევა ვაწარმოეთ სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტერში დაცული ქართული კოლექციის ხელნაწერებზე (Sin.1, Sin.14, Sin.59, Sin. 64, Sin.34, Sin.5), პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკის ქართულ ძეგლზე (Par. 5, იგივე Georgica 5) და სვანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კუთვნილ იელისა და წვირმის იადგარებზე. აქედან, ყველა ხელნაწერი X ს-ის დიდი იადგარი², გარდა Par. 5, Sin.5-სა, რომლებიც „მარხვანის“ ადრეული ნუსხებია³. მათ კონსტანტინეპოლური საღვთისმსახურო წესი უდევს საფუძვლად, განსხვავებით დიდი იადგარებისაგან, რომლებიც იერუსალიმური წარმომავლობისაა, თუმცა მიუხედავად ამისა, მარხვანის დასახელებულ ნუსხებში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია დიდი იადგარებისათვის დამახასიათებელი ვნების პარასკევის ცისკრის განგების სტრუქტურა, რომელსაც აღარ იცნობს კონსტანტინეპოლური წარმომავლობის ბიზანტიური და ქართული მარხვანები⁴. აქედან გამომდინარე, მოგვიწია ერთად დაგვეჯგუფებინა თვისობრივად განსხვავებული ორი ლიტურგიკული კრებულის, დიდი იადგარებისა და ადრეულ მარხვანთა ჰიმნოგრაფიული მასალა. ამასთან, დიდი იადგარების ნუსხათა შესწავლამ ვნების პარასკევის ქართველი ავტორის, იოანე მინჩის

² დიდი იადგარების სიაში არაა მიქაელ მოდრეკილის მეხური იადგარი (S 425), რადგან თავ-ბოლო ნაკლულია და არ შეიცავს ვნების პარასკევის ჰიმნებს.

³ Sin. 5-სა და Par. 5 მარხვანის ადრეული ნუსხები ისტორიული იქონოლოგიის მიხედვით ადრე არიან შედგენილნი, არამედ შემადგენლობის საფუძველზე, რადგან ისინი ჯერ კიდევ შეიცავენ იადგართა ჰიმნოგრაფიულ მასალას. ამ მხრივ გარდამავალ რგოლს ქმნიან იადგარებსა და მარხვანის ჩამოყალიბებულ რედაქციებს შორის.

⁴ დიდი იადგარებისათვის დამახასიათებელი სტრუქტურული ფორმების შენარჩუნება არა მხოლოდ ვნების პარასკევის განგებას ახასიათებს მარხვანთა ადრეულ რედაქციებში, არამედ ვრცელდება კრებულის მთლიან მასალაზე. იხ. ჩხიკვაძე, ნ. (რედ.). (2018). გვ.101.

საგალობელთა ის შრე გამოავლინა, რაც მეტად მნიშვნელოვანია ეროვნული ჰიმნოგრაფიული სკოლის შესწავლისთვის. მინჩხის ჰიმნების კვლევისას ყურადღება გავამახვილეთ საკითხებზე, როგორცაა საგალობელთა სტრუქტურა, რიტმულ-მელოდიური საზომი, ტექსტისა და მუსიკის თანხვედრის დონეები, რამაც საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა ვნების პარასკევის ჰიმნების მინჩხური მოდელი.

დისკუსია: სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია⁵, რომ დიდი იადგარები ახალ ჰიმნოგრაფიულ მასალას - წმ. იოანე დამასკელისა და წმ. კოზმა მაიუმელის სტიქარონებისა და კანონების ახალ თარგმანებს შეიცავენ. განასხვავებენ დიდი იადგარების ორ ჯგუფს: I ჯგუფში ხელნაწერები დათარიღებულია X ს-ის I ნახევრით და ესენია - Sin.1, Sin.14 და წვირმის იადგარი, ხოლო II ჯგუფის, X ს-ის II ნახევრის იადგარები შევსებული ვერსიებია, ამიტომაც ეწოდათ მათ დიდი, ვრცელი იადგარები, ასეთია Sin.59 და Sin. 64. რაც შეეხება Sin.34 - იოანე ზოსიმეს გადაწერილი იადგარსა და იელის იადგარს⁶ (X ს-ის 70 იანი წლები) გარდამავალ კრებულებად მიიჩნევენ იადგარების I და II ჯგუფს შორის.

დიდი იადგარებში შეტანილი საცისკრო კანონის ავტორად ორი წყარო (Sin.17, Sin.14⁸) იოანე დამასკელს ასახელებს, ხოლო მესამე - იოსებ მგალობელს (Par. Georg. 5:204v). ამ ფაქტმა გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია. საკითხში გარკვევისათვის სხვა ხელნაწერებში არსებული ავტორთან დაკავშირებული მინიშნებები დავძებნეთ. კანონის შემთხვევლის ვინაობის აღმნიშვნელ მითითებას წმიდა გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფულ მარხვანში, Ath. 38-ში მივაკვლიეთ, სადაც აშიაზე იგივე კანონის გასწვრივ დასმულია მონოგრამა, ნუსხური ინი (გვ. 315 v). ხელნაწერის აღწერილობაში (Gippert, Outtier, & Kim, 2022, გვ. 36) ეს აღნიშვნა განმარტებულია, როგორც იოანე დამასკელი. გამოდის, რომ პარიზული კოლექციის ქართულ ხელნაწერში მითითებული ავტორი, იოსებ მგალობელი, გადამწერის შეცდომაა და ვნების პარასკევის საცისკრო კანონის ავტორი, სამი წყაროს მიხედვით, საბაწმიდური ჰიმნოგრაფიული სკოლის მნათობი, VII-VIII სს-ის მოღვაწე, წმ. იოანე დამასკელია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელნაწერები Sin.1, Sin.14, რომლის ვნების პარასკევის საცისკრო კანონი (ხმა 6) მთლიანად ნევმირებულია. გალობანის ძლისპირები მითითებულია დასაწყისი სიტყვებით, ინციპიტებად, ხოლო მათი სრული ტექსტი ნევმების თანხლებით, მოცემულია ხელნაწერის დასაწყისში დართულ „ძლისპირნი და ღვთისმშობლისანის“ რუბრიკაში. ეს ძლისპირებია: „უკვლევლად ზღვა წიაღვლო ისრაელმან“ (I გალობა, „უგალობდითსა“); „არავინ არს წმიდა შენებრ“ (III გალობა, „განძლიერდასა“); „ქრისტე ღმერთი ჩემი“ (IV გალობა, „უფალო მესმასა“); „ნათლითა შენითა“ (V გალობა „ღამითგანსა“); „სოფლისა ზღვა აღძრულ არს“ (VI გალობა „ღაღატყავსა“); „ყრმათა მათ წმიდათა სახმილი“ (VII გალობა „კურთხეულარსა“); „სახმილით სამთა ყრმათა“ (VIII გალობა „აკურთხევდითსა“); „ღმერთი შეუძლებელ“ (IX გალობა „ადიდებდითსა“).

თითო ძლისპირს 3 დასდებული და 1 ღვთისმშობლისა შეეფარდება. ჯამში სულ 32 ტროპარია (იხ. ცხრილი #1).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეს „გალობანი“ მარხვანის ჩამოყალიბებულ ნუსხებში აღარ გვხვდება, თუმცა მათგან 2 ძლისპირი („ნათლითა შენითა“ და „სოფლისა ზღვა“)

⁵ ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან. ტომი III. (2016).

⁶ მკვლევარმა თ. ჩხეიძემ ბოლოდროინდელი კვლევებით იელის იადგარი X ს-ის I ნახევრით დათარიღა და იადგართა I ჯგუფში შეიყვანა. მეცნიერის ამ დასკვნის საფუძველი გახდა იადგარში შესწავლილი სამუსიკო ნიშანთა სისტემის, ნევმების მოხაზულობის მსგავსება ეკვონეტიკურ ნიშნებთან, რაც ქართულ ხელნაწერებს ნევმირების საწყის ეტაპზე ახასიათებთ.

⁷ „პარასკევსა უგალობდითსა ზ გვერდი, ნეტარისა იოანეს თქმულნი“, Sin. 1:118v;

⁸ ინფორმაციას იოანე დამასკელის კანონის ავტორობის შესახებ აზუსტებს Sin. 14-ის აღწერილობა (მისდევს Sin. 1, სადაც კანონის ავტორად იოანე დამასკელია დასახელებული).

შეტანილია წმ. გიორგი მთაწმინდელის მარხვანში დედან-ჰანგებად „შეხვეტილიანის“⁹ დასდებლებისთვის¹⁰. ამიტომაც მათ, მუსიკალური თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ. მოგვეპოვება აღნიშნული ძლისპირებისა და მასზე შეფარდებული „შეხვეტილიანის“ დასდებლების სანოტო ვერსიებიც, რაც ნევმირებულ ძლისპირებთან შედარებითი ანალიზის შესაძლებლობას ქმნის. ეს სამუშაო კვლევის მომავალ პერსპექტივად გვესახება.

სტატიის დასაწყისში უკვე აღვნიშნეთ, რომ ვნების პარასკევის საცისკრო განგება შეიცავს ქართველი ჰიმნოგრაფის, იოანე მინჩხის ორიგინალურ ქართულ საგალობლებს. იგი დაერთვის საცისკრო კანონის მეორე ოდას - „მოიხილესა“ და სამსაგალობლოს ორ გალობას - „დამითგანსა“ (V გალობა) და „აკურთხევდითსა“ (VIII გალობა). მინჩხის ავტორობა აღნიშნულია ასომთავრული მანით - „მ“ - ხელნაწერის აშიაზე, საგალობელთა დასაწყისების გასწვრივ (Par. 5:204v; Sin. 5:292v).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, იოანე მინჩხს დიდი წვლილი მიუძღვის კანონების II ოდების „მოიხილეთა“ რეპერტუარის შექმნაში. ამის დასტურია 9 „მოიხილესა“, რომელიც მინჩხმა დიდმარხვის სხვადასხვა კვირიაკებისათვის შეთხზა. კერძოდ, მისი II ოდები გვხვდება დიდმარხვის ყველიერის კვირიაკეში, მესამე, მეოთხე, მეექვსე და ზოობის კვირაში, დიდი ხუთშაბათის, დიდ პარასკევისა და დიდი შაბათის საცისკრო კანონებში. „მინჩხის „მოიხილეები“ მისთვის ჩვეული ოსტატობითაა დაწერილი. ენისა და მხატვრული თავისებურებების მიხედვით თითოეული მათგანი მინჩხის შემოქმედების ორგანულ ნაწილს წარმოადგენს“ - შენიშნავს მინჩხის შემოქმედების მკვლევარი ლ. ხაჩიძე (ხაჩიძე, 2000:93).

ჰიმნოგრაფიული კანონის II ოდების ისტორია დიდი ხანია მეცნიერთა ინტერესის საგანს წარმოადგენს, თუმცა II გალობის მნიშვნელოვანი საკითხები დღემდე ბოლომდე არ არის გარკვეული. თავდაპირველად II ოდა ჰიმნოგრაფიული კანონის აუცილებელი კომპონენტი იყო. ეს ნათლად ჩანს იერუსალიმური ლიტურგიკის ამსახველ ქართულ წყაროში „უძველესი იადგარი“, სადაც „მოიხილეები“ „გალობანის“ შემადგენელი ნაწილია. VIII ს-დან II ოდა უკვე აღარ გვხვდება კანონში. ამ პერიოდის წმ. იოანე დამასკელისა და წმ. კოზმა მაიუმელის კანონები „მოიხილეების“ გარეშეა. „კანონების II ოდის რედუქციის მიზეზად მკვლევართა უმეტესობა (კრისტი, ლოვიაგინი, ვოზნესენსკი, ველეში) ამ ოდის სამგლოვიარო ხასიათს მიიჩნევს; მკვლევართა მეორე ნაწილი (პიტრა, პარანიკასი) ამ მოვლენას რვახმის სისტემის გავლენით ხსნის; II გალობის რედუქციის მიზეზად დასახელებულია მისი სიდიდეც; მკაცრი, სამგლოვიარო ხასიათი კანონის II ოდამ მიიღო ბიბლიური გალობიდან, რომელსაც ის გენეტიკურად უკავშირდება. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ დროთა განმავლობაში II ოდა შეეგუა ლიტურგიის მოთხოვნებს და დაკარგა თავისი პირვანდელი ხასიათი“ (ხაჩიძე, 2000, გვ.93)

X ს-დან II ოდებით „გალობანის“ შევსების პროცესი იწყება. ამ დროს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის იოანე მინჩხი, რომელიც კარგად იცნობს ჰიმნოგრაფიაში მიმდინარე მოვლენებს და ინტერესს იჩენს კანონის სტრუქტურაში „მოიხილეების“ დამატების მიმართ. კანონის II ოდებით შევსების პროცესი კარგად ჩანს მიქაელ მოდრეკილის იადგარშიც (S 425), სადაც საცისკრო კანონები „მოიხილეებს“ შეიცავენ. როგორც

⁹ დიდმარხვაში ვნების პარასკევის ცისკარზე, თორმეტ სახარებას შორის იგალობება უფალი იესო ქრისტეს ვნებათა გადმომცემი მუსიკალური ციკლი, რომელიც ქართულ სამგალობლო ტრადიციაში „შეხვეტილიანი“-ს სახელით არის ცნობილი. ტერმინი „შეხვეტილიანი“ სამუსიკისმცოდნეო ლიტერატურაში განიმარტება, როგორც მაცხოვრის „ხორცთა ხუეცის“, ვნება-წამების ამსახველი განგება, ქართული პასიონი.

¹⁰ დედან-ჰანგზე „ნათლითა შენითა“ გაწყობილია შემდეგი დასდებლები „შეხვეტილიანის“ ციკლიდან: „მოწყალებითა გლახკათათა“ (II აღსავლის მე-2 დასდ.), „რომელი იგი შევ“ (II აღსავლის მე-3 დასდებელი), „რომელმან სიტყვა“ (XIII აღსავლის მე-3 დასდებელი), დედან-ჰანგზე „სოფლისა ზღვა“ — „მშვიდობა ჰყავ“ (X აღსავლის მე-3 დასდებელი), „ცხოვრება არს“ (XV აღსავლის მე-3 დასდებელი).

მეცნიერები ვარაუდობენ, ქართულ ჰიმნოგრაფიაში კანონის II ოდებით შევსების ფაქტი, ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში მიმდინარე პროცესს უნდა ასახავდეს (ხაჩიძე, 2000, გვ.95).

ვნების პარასკევის საცისკრო კანონის II ოდისთვის მინჩხს ძლისპირად შეურჩევია „რომელმან განავლო ზღვა მეწამული“¹¹ (II გალობა, ხმა 6). ეს ჰანგი წმ. გიორგი მთაწმინდელის შედგენილი „შეხვეტილიანის“ მუსიკალურ ციკლშიც გვხვდება¹².

ძლისპირზე „რომელმან განავლო“ 6 დასდებელია შეფარდებული. თითოეულ სტროფში 9 სტრიქონი და ჯამში 83 (11+12+10+10+8+9+12_6+5) მარცვალია. მარცვალთა თანაბარი რაოდენობა ახასიათებს 6-ვე დასდებელს. სტრიქონები ტექსტში დასმული განკვეთის ნიშნებით განიყოფიან. რიტმული სიმწყობის პირობა დასდებელში მასზე შეფარდებულ მუსიკალურ კომპოზიციაშიც არის შენარჩუნებული, რაც დასტურდება დედან-ჰანგსა და დასდებლებში შენარჩუნებული თანაბარი მარცვლების რაოდენობითა და რიტმული საზომით.

II ოდა კანონის დანარჩენ „გალობებთან“ შინაარსობრივ თანხვედრაშია. მინჩხის „მოიხილე“ არ გამოირჩევა მხატვრული სახეების სიუხვით, არამედ თანმიმდევრულად მიჰყვება სახარებისეულ ნარატივს - თხრობა იწყება საიდუმლო სერობით (I დასდებელი), რასაც მოსდევს ჯვარცმის ეპიზოდი (II დასდებელი), პეტრეს უარყოფისა (III დასდებელში) და იუდას აღსასრულის სცენები (IV დასდებელი). ბოლო ორი ტროპარი ეძღვნება ღვთისმშობელს. აქედან პირველში - ჯვარცმის წინ მდგომი მგლოვიარე ღვთისმშობლის მწუხარე სახეა დახატული (V დასდებელი), მეორეში კი - ქალწული მარიამია განდიდებული (VI დასდებელი). აღნიშნული გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ მინჩხის „მოიხილესა“ ზუსტად თანხვდება ვნების პარასკევის ლიტურგიკულ შინაარსს და ორგანულად ერწყმის კანონის ჰიმნოგრაფიულ ფორმას.

საცისკრო კანონს დიდ იადგარებში მე-6 ხმის „სამსაგალობელი“ მოსდევს. როგორც წესი, იგი საცისკრო კანონისგან გამიჯნულად, დამოუკიდებელ ციკლადაა წარმოდგენილი (Sin.1, Sin.14, Sin.64, Sin.59, Sin.34), თუმცა იელის, წვირმის იადგარებსა და ადრეულ მარხვანებში (Sin.5, Par. 5,) „ხვედრნი“ კანონის შემადგენელ ნაწილად გვხვდება „სხუანის“ სახელით (იელის იადგარი:162v).

„სამსაგალობლის“ სისტემა, ანუ „გალობათა ხუედრნი“, როგორც მას ქართული ლიტურგიკული კრებულები უწოდებენ, პირველად „უძველეს იადგარში“ შემოდის, მაგრამ ვნების პარასკევის საგალობელთა ეს ტექსტები (უძველესი იადგარი, 1980:197-198), ძლისპირ-ტროპართა მეტრული თანაფარდობის პრინციპზე ჯერ კიდევ არაა აგებული. ეს ურთიერთმიმართება წმ. იოანე დამასკელისა და წმ. კოზმას ეპიქიდან (VIII ს.) მკვიდრდება ჰიმნოგრაფიაში. ამავე პერიოდს უკავშირდება ვნების პარასკევის უცნობი ავტორის „სამსაგალობლის“ ჩანაცვლება კოზმას „ხვედრნით“, რომლის ყველა დასდებლები უკვე ძლისპირის საზომზეა გამართული.

ახალი, ვრცელი იადგარები სხვადასხვა ავტორთა, წმ. კოზმა იერუსალიმელის, იოანე მინჩხის, სტეფანე საბაწმიდელისა და წმიდა ანდრია კრიტელის „სამსაგალობელს“ შეიცავენ. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წმიდა კოზმას „ხვედრნს“, რადგან მის გარდა მომდევნო პერიოდის ლიტურგიკულ პრაქტიკაში სხვა ავტორთა ჰიმნები არ დამკვიდრებულა. კოზმას „სამსაგალობელს“ ყველა დიდი იადგარი შეიცავს,

¹¹ ამ ძლისპირის ნევემირებული ვერსია გვხვდება იორდანეს ძლისპირთა კრებულში (კიკნაძე, 1982, გვ. 546), ხოლო ნოტირებული - Q 684:067v; Q 1475:270; (№2122 - სანოტო კრებული); (ჯანგულაშვილი, 2018, ტ. VI, გვ. 252, საგალობელი №106). ეს ძლისპირი მინჩხისაა თუ სხვა ავტორის, უცნობია.

¹² დედან ძლისპირზე „რომელმან განავლო“ „შეხვეტილიანში“ 3 დასდებელია გაწყობილი: „მირბოდა იუდა“ (II აღსავლის მე-2 დასდებელი); „სასო სოფლისაო“ (XI აღსავლის მე-4 დასდებელი); „რომლისაგან ყოველივე“ (XIII აღსავლის მე-2 დასდებელი).

ხოლო დანარჩენ ავტორებს მხოლოდ ცალკეული ოდეები აქვთ შექმნილი (მინჩხს - „ღამითგანსა“ (2 ტროპარი) და „აკურთხევდითსა“ (2 ტროპარი), ანდრია კრიტელის - „ღამითგანსა“ (2 ტროპარი), რომელიც კოზმას სამსაგალობელთან კომბინაციაში გვხვდება (ცხრილი #2). მაგალითად, Par. 5-ში გვხვდება კოზმას და მინჩხის V და VIII და კოზმას IX გალობა, შინ.5 -ში კი - კოზმას, მინჩხის და ანდრიას „ღამითგანსა“ და კოზმას და მინჩხის „აკურთხევდითსა“ და კოზმას „ადიდებდითსა“. გამონაკლისია სტეფანე საბაწმიდელის „სამსაგალობელი“, რომელიც სამივე ოდას შეიცავს. იგი შეტანილია Par. 5-ში (206ვ), ეწოდება „სხუანი“ და მოეხმის კოზმასა და მინჩხის კომბინირებულ „სამსაგალობელს“.

ანდრიასა და მინჩხის ოდეებს ძლისპირები არ გააჩნიათ, ისინი კოზმას სამსაგალობლის დედან-ჰანგის რიტმულ-მელოდიურ მოდელს შეეფარდება, განსხვავებით სტეფანე საბაწმიდელის „სამსაგალობლისგან“, რომელიც თავისივე ძლისპირებს შეიცავს. მინჩხისა და ანდრია კრიტელის ოდეები კოზმას „სამსაგალობელში“ ისეა ჩაზრდილი, რომ მის ჰიმნოგრაფიულ გაგრძელებას წარმოადგენენ. მათი ტროპრები იმდენივე სტროფსა და მარცვალს შეიცავენ, რამდენსაც კოზმას ოდა. ამდენად, მინჩხისა და ანდრიას ჰიმნები სრულ თანხვედრაშია კოზმას „სამსაგალობლის“ ჰიმნოლოგიურ და მუსიკალურ კომპოზიციასთან. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ მაგალითს (იხ. ცხრილი #3)

ცხრილში კარგად ჩანს, რომ კოზმასა და მინჩხის V გალობის დასდებლებს ნამდვილად თანაბარი რაოდენობის ფრაზები და მარცვლები გააჩნიათ. ამასთან, მინჩხის საგალობელში კოზმასეული მარცვლედოვნების დაცვის სიმკაცრეზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ბოლო ორ ფრაზაში, სადაც 8-8 მარცვალი უნდა იყოს, შუაზე გაყოფილია სიტყვა „დაბნე-ლებულთა“. არგაყოფის შემთხვევაში პირველი ფრაზა იქნებოდა 11 (ძე შენი დღეს ნათლად დაბნელებულთა), ხოლო მეორე - 5 მარცვლიანი (მზე სიმართლისა). ეს რომ არ მომხდარიყო მინჩხმა სიტყვა შუაზე „გახლიჩა“ იმ მიზეზით, რომ თანაბარი 8-8 მარცვალი მიეღო. ამ შემთხვევაში ჰიმნოგრაფმა საგალობლის სიტყვიერი ტექსტის შინაარსი უკანა პლანზე გადაიტანა, ხოლო წამყვანი მნიშვნელობა კოზმასეული რიტმულ-მელოდიური მოდელის დაცვას მიანიჭა. ე. ი. მინჩხისთვის მთავარი აღმოჩნდა საგალობლის მუსიკალური სტრუქტურა, და არა ვერბალური ქსოვილის განაწილების პრინციპი.

დასკვნა: დიდ იადგარებში ვნების პარასკევის ცისკრის განგების ჩამოყალიბების მეორე საფეხური ჩანს. ამასთან მას გარდამავალი ეტაპის მნიშვნელობაც ენიჭება მსახურების საწყისსა და საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სტრუქტურებს შორის. ვრცელ იადგარებში ასახულია განგების ფორმაქმნადობის ის პროცესი, რომელიც 9 ოდიანი კანონის ჩართვით გამოიხატა. განგების შემადგენლობაში ამ კომპონენტის გაჩენამ მსახურებას ფორმაც შეუცვალა და შინაარსიც. რაც მთავარია, მოხდა აქცენტების გადანაცვლება. თუ „უძველეს იადგარში“ ძირითადი ელემენტი მაცხოვრის ვნებებთან დაკავშირებული სახარებისეული ეპიზოდების კითხვა იყო, ვრცელ იადგარებში მისი ადგილი დაიკავა ჰიმნოგრაფიულმა კანონმა, რომელშიც პოეტურად გარდაისახა სახარებისეული სიუჟეტი. ამით კანონმა ფაქტიურად, სახარების ფუნქცია „შეითავსა“. იადგარებში ასახული ეს ცვლილება ნაკარნახევი იყო ბიზანტიური ჰიმნოგრაფიით, სადაც კანონის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. რაღა თქმა უნდა ამ ვითარებამ გავლენა იქონია ვნების პარასკევის მსახურებაზე და მის სტრუქტურაში „გალობანის“ შესრულების ტრადიცია დამკვიდრდა.

იოანე მინჩხის ჰიმნების ჩართვა საცისკრო კანონსა და სამსაგალობელში ისეთი დიდი ჰიმნოგრაფების გვერდით, როგორებიც წმ. იოანე დამასკელი და წმ. კოზმა იერუსალიმელია, მინჩხის ჰიმნოგრაფიის უმაღლეს დონეზე მეტყველებს. მინჩხმა ეს საგალობლები თავისი ორიგინალური ხედვით, განცალკავებულად კი არ შექმნა, არამედ დამასკელისა და კოზმას ოდეების ჰიმნოგრაფიულ მოდელს მოარგო. ამის მიუხედავად, მინჩხის ჰიმნები მაინც ინარჩუნებენ მისთვის სახასიათო, თვითმყოფად ბუნებას, თუნდაც

ფორმის თვალსაზრისით. ამის დასტურია „სამსაგალობლებისთვის“ შექმნილი მინჩხის მცირე ფორმის 2-2 სტროფიანი ოდები, რომლებიც კოზმას „სამსაგალობლის“ იდეურ და მუსიკალურ გაგარძელებას წარმოადგენს.

ცხრილი #1

ენების პარასკევის წმიდა იოანე დამასკელის საცისკრო კანონი (ხმა 6)

(დიდი იადგარი Sin. 1:118v-120 r)

თანრივი	მღისპირი	დასდებელი
I გალობა „უგალობდითსა“	„უკვლევლად ზღვა წიაღვლო“	„შენ რომელი მოსვლად ხარ“ „მიმცემელმან შენმან ამბორისყოფითა“ „ლამპრებითა ღამე შეგიპყრეს“ „ცხოვრებისა ტევანი გარდაფენილი“
III გალობა „განძიერდასა“	„არავინ არს წმიდა შენებრ“	„მხველისა მიერ ხმოვითა“ „დამრთველი ცათა ღრუბლითა“ „ტყუვილისა მოწეული შეგმოსეს“ „ლახვრითა რა განღებული გვერდი“
IV გალობა „უფალო მესმასა“	„ქრისტე ღმერთი ჩემი“	„მტერისა ზაკუვითა“ „ვითარცა კრავი კლვად მიიგვარე“ „ერმან უკეთურმან გამოგითხოვეს შენ“ „ღვთისმშობელი ესრეთ გოდებით“
V გალობა „ღამითგანსა“	„ნათლითა შენითა“	„შორის ორთა ძვირისმოქმედთა“ „რომელთა იგი განამართლეს“ „თხემისა რა ადგილსა ჯვარსეცუ“ „მშობელი შენი ქრისტე ღმერთო“
VI გალობა „ღალატყავსა“	„სოფლისა ზღვა აღმრულ არს“	„ეკლისა გვირგვინი რა დაიდგ შენ“ „მზემან რა გიხილა შენ“ „თაფლისა მსმელთა უდაბნოს“ „გხედვიდა რა დასჯილსა“
VII გალობა „კურთხეულარსა“	„ყრმათა მათ წმიდათა სახმილი“	„შენ მშვიდობისა მომცემელსა“ „მაშინ პილატე დაიბანა ხელნი“ „გხედვიდეს რა მნათობნი ნათელთა“ „დედობრივითა ურვითა ღვთისმშობელი“
VIII გალობა „აკურთხევდითსა“	„სახმილით სამთა ყრმათა“	„მხეცთა ბოროტთა აღგიტაცეს“ „მსაჯულმან უსჯულომან მიგცა შენ“ „არა სჯულითა არცა სამართლითა“ „შობა დედობრივ უხრწნელად“
IX გალობა „ადიდებდითსა“	„ღმერთი შეუძლებელ“	„ღმერთი უვნებელი მსგავს კაცთა“ „კრეტსაბმელი იგი ტამრისა მის განიპო ორად, იხილვე რა ჯვარსა ზედა“ „ქრისტე ღმერთო მოყვარენი და მეგობარნი“ „წმიდა და ყოვლად უქორწინებელი რა ქალწული“

ცხრილი #2

ვნების პარასკევის ცისკარი იადგართა და მარხვანის ადრეულ ნუსხებში

ხელნაწერი, საუკუნე	დასდებულთა ციკლი	საცისკრო კანონი	სამსაგალობელი	აქედითისა და აღვივსენითის დასდებულები
უმეველესი იადგარი (VII-IX სს.)	„შუადამისანი“ საგალობელთა 7 მიკრო-ციკლი, სულ 26 დასდებელი (გვ. 191-196)		პარასკევსა „ღამითგანსა“ (გვ. 197-198)	გვ. 198
Sin. 1. X ს. ის დიდი იადგარი (ნევემირებული)	—	9 გალობა „ნეტარისა იანეს თქმულნი“ (118v-120r)	„მასვე დიდსა პარასკევსა. ღამითგანსა. ნეტარისა კოზმანის თქმულნი“ [1] (120r-121r)	გვ. 121r-121v[2]
Sin. 14. X ს. ის დიდი იადგარი (ნევემირებული)	—	იოანე დამასკელის 9 გალობა (149v-152v)	„დიდსა პარასკევსა დასდებელნი, ღმ-თგანსა ხმა ბ გვერდი, კოზმანისნი. პრო სე ორთიზონ. შენდა აღვიმსთობთ“ (152-v-153v)	გვ. 152v[3], 154r[4]
იელის იადგარი X ს. სვანეთის მუზეუმი	—	იოანე დამასკელის 9 გალობა (162r-164r)	კოზმას სამსაგალობელი ჩაერთვის კანონის მე-5, მე-8 და მე-9 ოდებს „სხვანის“ სახელით	აქედითის დასდებელნი 164r[5]
წვირმის იადგარი X ს. სვანეთის მუზეუმი	—	იოანე დამასკელის 9 გალობა[6] (98r-100v)	კანონის მე-5, მე-8 და მე-9 ოდებს ჩაერთვის სამსაგალობელი „სხუანი კოზმანისნი“ (99r)	აღვივსენითის დასდებელნი (101v[7])
Sin. 64 X ს-ის ახალი იადგარი	„შუადამისანი“ — ვნების 11 დასდებელი (138v-139r)	იოანე დამასკელის 9 გალობა (139r-140r)	„მასვე პარასკევსა ღამითგანსა დასდებელნი კოზმანის თქმულნი“ (140r-140v)	გვ. 139v[8]
Sin. 34 იოანე ზოსიმეს იადგარი X ს.	ვნების 11 დასდებელი (67v-68v)	იოანე დამასკელის 9 გალობა (68v-69v)	გვ. 69v-70	გვ. 71v-72r

Par. Geo. 5 მარხვანი XI ს-ის I ნახევარი	—	9 გალობა [9], რომელსაც ჩაერთვის იოანე მინჩხის „მოიხილეს“ (204v)	კოზმას და მინჩხის „დამითგანსა“ (206r), კოზმას და მინჩხის „აკურთხევდითსა“, კოზმას „ადიდებდითსა“. სტეფანე საბაწმიდელის „სხუანი ხუედრნი“ (206v)	რომანოზ მელოდისის იბაკონი (207r)
Sin. 5; 1052 წელს გადაწერილი მარხვანის ადრეული ნუსხა	„შეხვეტილიანის“ 15 აღსავალი (285v-292r)	9 გალობა, რომელშიც ჩაერთვის მინჩხის მე-2 ოდა [10] (292r)	კოზმას, ანდრიას და მინჩხის „დამითგანსა“ (293v), კოზმას და მინჩხის „აკურთხევდითსა“ (294v), კოზმას „ადიდებდითსა“	298v

[1] ძლისპირთა ბერძნული მოდელის დასაწყისები ქართული ტრანსკრიფციით არის მოცემული, მთავრული და სინგურით. მე-9 გალობაზე კი მითითებულია „ტინტიმი ოტერატონ“, რაც უპატიოსნესას ნიშნავს, თუმცა მის ნაცვლად „რომელი უმაღლეს ხარ“ არის ყველა იადგარში. მე-8 გალობაზეც ბერძნული ტრანსკრიფციით მითითებულია „სტილინ კიკიას“, რაც ქართულად ნიშნავს „სიბოროტისა ძეგლი“-ს, მაგრამ მის ნაცვლად ქართულ ხელნაწერში დედანად მითითებულია „ყრმათა საღმრთოთა“.

[2] „ანგელოზთა მხედრობა ზარგანხდილ იქმნა“; „ყოველთა ცხოვრებასა ყვრიმლისცემა მისცეს“; „რომელსა აქუს ყოველი ძალითა საღმრთოთა“; „ამაღლდა უხესშთაეს ცნობისა ჩუენისა“; „ნაცვლად კეთილთა“; „შინაგანცემა არა კმა ეყო“; „არცა შემვრამან ქვეყანისამან“

[3] აქებდითის დასდებლები ორ ნაწილადაა გაყოფილი, პირველი სამი დასდებელი („ნაცვლად კეთილთა“; „შინაგანცემა არა კმა ეყო“; „არცა შემვრამან ქვეყანისამან“) მოცემულია მე-9 გალობასა და სამსაგალობელს შორის, ხოლო მეორე ნაწილი დასდებელთა წერია სამსაგალობლის შემდეგ („ანგელოზთა მხედრობა ზარგანხდილ იქმნა“; „ყოველთა ცხოვრებასა ყვრიმლისცემა მისცეს“; „რომელსა აქუს ყოველი ძალითა საღმრთოთა“; „ამაღლდა უხესშთაეს ცნობისა ჩუენისა“).

[4] აქებდითის დასდებლების თავზე, აშიაზე მიწერილია სახელი იოანე, სავარაუდოდ დამასკელი, რადგან საცისკრო კანონის ავტორიც იოანე დამასკელია. [5] იგივე დასდებლებია, რაც დიდ იადგარებში.

[6] ტექსტი გამართულია წითელი სინგურის რიტმული პუნქტუაციის ნიშნებით. [7] „ხისა მიერ ადამ შეცთომილი განვარდა“; „ღვთისმკვლელობა კრებული“; „სჯულისა მომცემელი“ – ეს სამივე დასდებელი თანამედროვე მარხვანში „მომიხსენენის“ საგალობლებად გვხვდება.

[8] იგივე ტექსტებია, რაც დიდ იადგარებში. [9] აშიაზე მიწელია კანონის ავტორის აღმნიშვნელი მონოგრამა „იოსებ“, რომელშიც იოსებ მაგალობელი იგულისხმება.

[10] „მოიხილესას“ ავტორი იოანე მინჩხი მითითებულია არაა. მისი იდენტიფიცირება მოვახდინეთ Par. Geo. 5-ის მიხედვით, სადაც აშიაზე არა მხოლოდ მინჩხი, არამედ სხვა საგალობელთა შემთხვევების სახელებიცაა მინიშნებული.

ცხრილი #3

კოზმას „ღამითგანსა“, მე-2 ტროპარი		მინჩხის „ღამითგანსა“ მე-2 ტროპარი	
მგზავრ ეტყოდე მათ [1]:	5[2]	სულსაცა შენსა	5
ჟამი მოწევნულ არს	6	განვიდა მახვილი,	6
მიცემად ძე კაცისა	7	შენ, უზეშთაესო	6
უსჯულოთა მოსიკუდიდ	8	ქერობინთა ქალწულო,	8
და თქვენ, ყოველნი	5	რაჟამს იხილე	5
განიბნინეთ და მე მარტო	8	ძელსა დამოკიდებულად	8
დამიტეოთ, ხოლო კვალად	8	ძე შენი, დღეს ნათალად დაბნე-	8
შეგკრიბნე მქადაგებულად	8	ლებულთა მზე სიმართლისა	8

[1] საგალობელი ფრაზებად დაყოფილია განკვეთის წერტილების მიხედვით.

[2] რიცხვებით აღნიშნულია სიტყვერი მარცვლების რაოდენობა თითოეულ ფრაზაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

Sin. 34. (X ს.). *იადგარი*, გადამწერი - იოანე ზოსიმე. [ხელნაწერი]. სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტერი. Library of Congress. <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00279386875-ms/?sp=2&r=-0.345,-0.009,1.751,0.816,0>

Sin. 1. (X ს.). *იადგარი* [ხელნაწერი]. სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტერი. Library of Congress. <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00279388355-ms/?sp=2>

Sin. 14. (X ს.). *იადგარი* [ხელნაწერი]. სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტერი. Library of Congress.

<https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00279388872-ms/?sp=2&r=-0.271,0,1.542,0.719,0>

Sin. 59. (IX-X სს.). *იადგარი* [ხელნაწერი]. სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტერი.

Sin. 64. (X ს.). *იადგარი* [ხელნაწერი]. სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტერი. Library of Congress. <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00271070421-ms/?sp=>

იელის იადგარი. (X ს.). *იადგარი* [ხელნაწერი]. დაცულია სვანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

- Ath. 38. (XI ს.). *მარხვანი* [ხელნაწერი]. ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია. წმ. გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფული ლიტურგიკული კრებული.
- Par. 5. (XI ს.). *მარხვანი* [ხელნაწერი]. პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკა.
- Sin. 5. (XI ს.). *მარხვანი* [ხელნაწერი]. სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტერი. Library of Congress. <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00279388318-ms/?sp=2>
- კიკნაძე, გ. (1982). *ნევძირებული ძლისპირნი, ხელნაწერი A-603*. გამოცემა, კვლევა და საძიებლები: გ. კიკნაძე. თბილისი.
- ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან. *ტომი III: ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია, ეგზეგეტიკა, ასკეტიკა-მისტიკა, კანონიკა*. (2016). მთავარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი) (რედ.) თბილისი: აღმსარებელი.
- Q 684 – *სანოტო კრებული* [ხელნაწერი]. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- Q 1475 – *სანოტო კრებული* [ხელნაწერი]. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- №2122 – *სანოტო კრებული* [ხელნაწერი]. ა. ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი.
- უძველესი იადგარი. (1980). მეტრეველი, ე., ჭანკიევი, ც., ხევსურიანი, ლ. (რედ.). თბილისი: მეცნიერება.
- ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია. ნაკვეთი I. (1978). მეტრეველი, ელ., ჭანკიევი, ც., ხევსურიანი, ლ. ჯღამაია ლ. (შემდგენელი). თბილისი: მეცნიერება.
- ჩხიკვაძე, ნ. (რედ.). (2018). *ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ*. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- წვირმის იადგარი. (X ს.). *იადგარი* [ხელნაწერი]. დაცულია სვანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.
- ხაჩიძე, ლ. (2000). *ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან*. თბილისი.
- ჯანგულაშვილი, ს. (პროექტის ხელმძღვანელი). (2018). *ქართული ანთოლოგია. ტომი VI: დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია. ძლისპირნი*. თბილისი.
- Gippert, J., Outtier, B., & Kim, S. (2022). *Catalogue of the Georgian manuscripts: Holy Monastery of Iveron, Mount Athos* (p. 367). Mount Athos.
- 21) McGowan, A., & Bradshaw, P. F. (Trans.). (2018). *The pilgrimage of Egeria: A new translation of the Itinerarium Egeriae with introduction and commentary* (Alcuin Club Collections 93). Liturgical Press Academic.
- Tarchnischvili, M. (1959). *Le grand Lectionnaire de l'église de Jérusalem (Ve–VIIIe siècle)* (Tome I). Corpus Scriptorum Christianorum Orientalium. Louvain.
- Кекелидзе, К. А. (1912). *Иерусалимский канонарь*. Киев: библиотека Киевской духовной академии. (Электронная версия от 2013 г., сканирование и создание электронного варианта).

References

- Sin. 34. (X s.). *iadgari*, gadamts'eri - ioane zosime. [khelnats'eri]. sinas mtis ts'mida ek'at'erines monast'eri. Library of Congress. <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00279386875-ms/?sp=2&r=-0.345,-0.009,1.751,0.816,0>
- Sin. 1. (X s.). *iadgari* [khelnats'eri]. sinas mtis ts'mida ek'at'erines monast'eri. Library of Congress. <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00279388355-ms/?sp=2>
- Sin. 14. (X s.). *iadgari* [khelnats'eri]. sinas mtis ts'mida ek'at'erines monast'eri. Library of Congress. <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00279388872-ms/?sp=2&r=-0.271,0,1.542,0.719,0>
- Sin. 59. (IX-X ss.). *iadgari* [khelnats'eri]. sinas mtis ts'mida ek'at'erines monast'eri.
- Sin. 64. (X s.). *iadgari* [khelnats'eri]. sinas mtis ts'mida ek'at'erines monast'eri. Library of Congress. <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00271070421-ms/?sp=2>
- ielis iadgari. (X s.). *iadgari* [khelnats'eri]. datsulia svanetis mkharetmtsodneobis muzeumshi.
- Ath. 38. (XI s.). *markhvani* [khelnats'eri]. atonis mtis kartul khelnats'erta k'oleksia. ts'm. giorgi mtats'mindelis avt'ograpuli lit'urgik'uli k'rebuli.
- Par. 5. (XI s.). *markhvani* [khelnats'eri]. p'arizis erovnuli bibliotek'a.
- Sin. 5. (XI s.). *markhvani* [khelnats'eri]. sinas mtis ts'mida ek'at'erines monast'eri. Library of Congress. <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00279388318-ms/?sp=2>
- k'ik'nadze, g. (1982). *nevmirebuli dzlisp'irni, khelnats'eri A-603* [The neumated Heirmoi: Manuscript A-603]. gamotsema, k'vleva da sadzieblebi: g. k'ik'nadze. tbilisi.
- nark'vevebi dzveli kartuli sasuliero mts'erlobis ist'oriidan. t'omi III: lit'urgik'a, himnografiya, egzeget'ik'a, ask'et'ik'a-mist'ik'a, k'anonik'a [Essays on the History of old Georgian Ecclesiastical Literature. Volume 3: Liturgics, Hymnography, Exegesis, Asceticism-Mysticism, Canonics]. (2016). mtavarep'isk'op'osi st'epane (k'alajishvili) (red.) tbilisi: aghmsarebeli.
- Q 684 – *sanot'o k'rebuli* [khelnats'eri]. k'orneli k'ek'elidzis sakhelobis khelnats'erta erovnuli tsent'ri.
- Q 1475 – *sanot'o k'rebuli* [khelnats'eri]. k'orneli k'ek'elidzis sakhelobis khelnats'erta erovnuli tsent'ri.
- N°2122 – *sanot'o k'rebuli* [khelnats'eri]. a. erkomaishvilis sakhelobis polk'loris sakhelmts'ipo tsent'ri.
- udzvelesi iadgari [The Ancient Iadgari]. (1980). met'reveli, e., ch'ank'ievi, ts., khevsuriani, l. (red.). tbilisi: metsniereba.
- kartul khelnats'erta aghts'eriloba. sinuri k'oleksia. nak'veti I [Description of Georgian Manuscripts. Collection of mount Sinai. Section I]. (1978). met'reveli, el., ch'ank'ievi, ts., khevsuriani, l. jghamaia l. (shemdgenelni). tbilisi: metsniereba.
- chkhik'vadze, n. (red.). (2018). *kartuli khelnats'erili ts'igni sazghvargaret* [Georgian Manuscript Book Abroad]. tbilisi: k'orneli k'ek'elidzis sakhelobis khelnats'erta erovnuli tsent'ri.

ts'virmis iadgari. (X s.). *iadgari* [khelnats'eri]. datsulia svanetis mkharetmtsodneobis muzeumshi.

khachidze, I. (2000). *kartuli krist'ianuli k'ult'uris ist'oriidan* [From the History of Georgian Christian Culture]. Tbilisi.

jangulashvili, S. (p'roekt'is khelmdzghvani). (2018). *kartuli antologia. t'omi VI: dasavlet sakartvelos samgaloblo t'raditsia. dzlisp'irni* [Georgian Chant Anthology. Volume VI: The Chanting Tradition of Western Georgia. Heirmoi]. Tbilisi.

Gippert, J., Outtier, B., & Kim, S. (2022). *Catalogue of the Georgian manuscripts: Holy Monastery of Iveron, Mount Athos* (p. 367). Mount Athos.

McGowan, A., & Bradshaw, P. F. (Trans.). (2018). *The pilgrimage of Egeria: A new translation of the Itinerarium Egeriae with introduction and commentary* (Alcuin Club Collections 93). Liturgical Press Academic.

Tarnichvili, M. (1959). *Le grand Lectionnaire de l'église de Jérusalem (Ve–VIIIe siècle)* (Tome I). Corpus Scriptorum Christianorum Orientalium. Louvain.

Кекелидзе, К. А. (1912). *Иерусалимский канонарь*. Киев: библиотека Киевской духовной академии. (Электронная версия от 2013 г., сканирование и создание электронного варианта).